პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კიროველი

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის, დირექციის, კომკავშირული კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

№8 (301)
ხუთშაბათი
Четверг
29 მარტი
марта
1956 წ. г.
ფასი 20 კაპ.
Цена 20 коп.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

# Кировец

Орган парткома, дирекции, комитета комсомола, профкома и местkома ордена Трудового Красного Знамени Грузинского политехнического института имени С. М. Кирова

## პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ხალხის არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ეს გადაწყვეტილებები წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას. ყრილობამ დასახა გრანდიოზული ამოცანები სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. როგორც ყრილობამ აღნიშნა ჩვენი მრეწველობის შემდგომი ზრდის გადამწყვეტი პირობაა მისი განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი. საჭიროა მრეწველობაში და ტრანსპორტზე დაინერგოს მეცნიერებისა, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევები. ამ საპატიო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა უმაღლეს სკოლას, მის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივს. ყრილობამ დაავალა უმაღლეს სკოლას ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესოს სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, დააყენოს სასწავლო მუშაობა ტექნიკის თანამედროვე დონის სიმაღლეზე.

პარტიის დავალების შესასრულებლად ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი აფართოებს შემოქმედებით კავშირს სამრეწველო საწარმოებთან, აქტიურად ეხმარება წარმოებას საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში. ამჟამად ინსტიტუტის კათედრები დაკავშირებულია ორმოცზე მეტ სამრეწველო საწარმოსთან, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის თემატიკა გარდაქმნილია ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე. ეწყობა საკოორდინაციო მუშაობა ჩვენი ინსტიტუტის ცალკეულ კათედრებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების შესაბამის კათედრებს შორის.

ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვანი მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიმდინარე სასწავლო წლიდან ჩვენს ინსტიტუტშიაც დაიწყო ინჟინერთა მომზადება ახალ სპეციალობათა მიხედვით.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო-საკვლევო საქმიანობაში ბევრ სერიოზულ ნაკლოვანებას აქვს ადგილი. ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება სტუდენტების მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შესწავლას. მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს სტუდენტთა საწარმოო სწავლება.

როგორც ცნობილია, ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიაში ხალხთა მასების და პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების სწორ განმარტებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ხალხთა მასები წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების ნამდვილ შემოქმედს, ისტორიის პროგრესული მოძრაობის გადამწყვეტ ძალას.

ყრილობამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს არ შეასუსტონ ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მტკიცედ დაიცვან ხელმძღვანელობის კოლექტიურობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპები, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდონ მარქსისტულ-ლენინური გაგება იმისა, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედი არის ხალხთა მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

ყრილობის ამ დავალებათა ცხოვრებაში გასატარებლად ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ უკვე ჩაატარა ერთგვარი მუშაობა. კომუნისტების, კომკავშირელთა და უპარტიო აქტივისათვის წაკითხული იქნა ლექციების ციკლი. ყველა აკადემიურ ჯგუფში დაიწყო XX ყრილობის მასალების შესწავლა. ყრილობის მასალების შესწავლაზე გადავიდა აგრეთვე პარტიული განათლების მთელი ქსელი.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ჩვენს ინსტიტუტში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ინსტიტუტის პარტიულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ყოველგვარი საშუალება, რათა მიაღწიონ ამ უბანზე ძირეულ გარდატეხას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ინსტიტუტის მთელი კოლექტივისაგან მოითხოვენ ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრას და შემდგომ გაძლიერებულ მუშაობას ახალი ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის.

## Участие ученых института в лекционной пропаганде

Многие профессора, доценты и преподаватели нашего института ведут активную лекционную пропаганду как в институте, так и за его пределами.

Некоторые из них являются внештатными лекторами ЦК КП Грузии, горкома или райкома партии. Они проводят лекции и доклады на предприятиях, стройках, в учреждениях, колхозах и совхозах республики.

Недавно доцент строительного факультета Ш. Добордигинидзе прочел лекции „О строительной индустрии и задачах ее дальнейшего развития" в общестроительном тресте № 1 „Тбилмшени", в Министерстве городского и сельского строительства и строителям Рустави.

Лекции были прослушаны с большим вниманием и вызвали живой интерес у слушателей.

## В нашем институте

### Выставка материалов и решений XX съезда КПСС

Фундаментальная библиотека института устроила выставку материалов и решений XX съезда КПСС.

В аккуратно оформленных стендах выставлены доклады т. т. Н. С. Хрущева, Н. А. Булганина и П. Г. Москатова, выступления членов президиума ЦК КПСС, представителей братских коммунистических и рабочих партий, решения XX съезда КПСС.

В одной из витрин собраны материалы, освещающие вопрос о роли народных масс в истории.



Библиотека института. Читатели получают книги.

## გ. ნიკოლაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავისათვის

მიმდინარე წელს შესრულდა 25 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფესორ გიორგი ნიკოლოზის-ძე ნიკოლაძის გარდაცვალებიდან.

ამ თარიღის აღსანიშნავად სათანადო ღონისძიებების ჩატარების მიზნით ინსტიტუტში გამოიყო კომისია პროფესორების კ. ბარამიძის (თავმჯდომარე), ა. გულისაშვილის, რ. აგლაძის, გ. გედევანიშვილის, ა. რუხაძის, დოცენტების ნ. ლომჯარიას, ა. გორგიძის და უფროსი მასწავლებლის მ. ცხვედაძის შემადგენლობით.

ამჟამად უკვე გამზადებულია და გადაცემულია დასაბეჭდათ გ. ნიკოლაძის მხაზველობითი გეომეტრიის კურსი. ინსტიტუტის შრომების № 42 კრებული, რომელიც ამ დღეებში გამოვა, მიძღვნება გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნასა.

აპრილში განზრახულია გ. ნიკოლაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის აღსანიშნავად საღამოს ჩატარება.

გაზეთი „კიროველი" გამოაქვეყნებს მასალებს გ. ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ხოლო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა მოაწყობს მისი შრომების გამოფენას.



კომკავშირულ კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის წევრები იხილავენ თეორიულ კონფერენციაზე გასატან მოხსენებებს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. მჭედლიშვილი, მაზმიშვილი, მიქელაძე, გოროზიანი.

### Теоретическая конференция

На днях по инициативе правления группы докладчиков комитета комсомола была проведена теоретическая конференция на тему: „Дружба, товарищество и коллективизм—лучшие черты советской молодежи".

На конференции присутствовало около 400 человек.

После конференции состоялось выступление эстрадного оркестра института под руководством И. Тугуши.



სტუდენტების მეცადინეობა მეტალოგრაფიის კაბინეტში.

### Перед XXIII научно-технической студенческой конференцией

С 30 марта по 6 апреля с. г. решено провести XXIII научно-техническую конференцию студентов.

Для проведения конференции создан оргкомитет в составе: доц. Г. Махарадзе, проф. Б. Канделаки, Т. Маджагаладзе, О. Черкезия, Ф. Броучек, З. Николайшвили, К. Махарадзе, А. Гогиашвили.

Образована также редколлегия. В нее вошли доц. Г. Махарадзе, доц. А. Дзидзигури, Ц. Гогуадзе, А. Гогиашвили, З. Николайшвили.

Оргкомитетом и редколлегией уже проведены подготовительные мероприятия. Составлен точный план работы конференции, печатаются аннотации научных докладов.

### Традиционная олимпиада

Вошло в традицию ежегодно проводить внутриинститутские олимпиады художественной самодеятельности. Они способствуют широкому вовлечению в эту работу студентов, выявлению новых исполнителей.

В нынешнем году, внутриинститутская олимпиада будет предшествовать республиканскому и Всесоюзному фестивалям советской молодежи. Она проводится с 5 по 8 апреля. Приказом по институту деканам было поручено привлечь актив факультета, возглавить работу по подбору лучших исполнителей и кружков для участия в олимпиаде. Подготовкой и проведением олимпиады руководит организационная комиссия под председательством зам. директора проф. К. Барамидзе.

На факультетах уже заканчивается подготовительная работа. Составлена разнообразная программа. Участники хоровых групп факультетов репетируют в сводном общеинститутском хоре.

Из руководителей кружков художественной самодеятельности и приглашенных специалистов составлен жюри.

### დამწყებ პოეტების სექციაში

ინსტიტუტის კომკავშირულ კომიტეტთან ჩამოყალიბდა დამწყებ პოეტების სექცია.

21 მარტს თავის მორიგ სხდომაზე სექციის წევრებმა განიხილეს მ. კახიძის წიგნი „სიყვარულის ასაკი". პოეტის ლექსების შინაარსიანი და ვრცელი მიმოხილვა გააკეთა პირველი კურსის სტუდენტმა ჩ. მოუჩავიძემ.

მოხსენებამ წრის წევრთა შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მ. ნარიმანაშვილმა, ვ. დადიანიძემ, ლ. სიმონიშვილმა და სხვებმა.